დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2019 წლის 25 აპრილი

ქ. დედოფლისწყარო

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2019 წლის პროგრამის, პროგრამის ბიუჯეტის და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2019 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №71 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2019 წლის პროგრამის, პროგრამის ბიუჯეტის და რეალიზაციის ვადის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების 2019 წლის გათბობის ხარჯით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №71 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 25.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.169.016421) დანართ 2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 („დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2019 წლის პროგრამის ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა“) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი დადგენილებას თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **ნუგზარ პაპიაშვილი**
თავმჯდომარე

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2019 წლის პროგრამის ბიუჯეტი და რეალიზაციის ვადა

№	დასახელება	სოციალური დახმარების მოცულობა (ლარი)		რეალიზაციის ვადა
		ერთ ბენეფიციარზე ან ოჯახზე	სულ	
I	1. უფასო კვების ობიექტის დაფინანსება		**240 000**	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

II	**2**. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	300 ლარი	**2 300**	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
III	**3.** სუბსიდია - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ზოგადად მოწყვლადი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტე ტის ქალაქსა და სოფლებში.		**52 000**	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
IV	**4. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**		**370 000**	
	ა) მშშს, შშს მქონე არასრულწლოვან ბავშვთა, ობოლ და მარჩენალდაკარგულ ბავშვთა, მარტოხელა მშობელთა, მრავალშვილიან მშობელთა (ერთი, ორი ან სამი არასრულწლოვანი ბავშვით მათ შორის გერი შვილ(ებ)ი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულისა და მეორე მსოფლიო ომის მონაწილის ოჯახთა ყოველთვიური ფულადი დახმარება, მოხმარებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის ღირებულების დასაფარად, ბენეფიციარის არჩევანის შესაბამისად.	18 ან 22 ლარი ყოველთვიურად	**55 000**	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულის ოჯახი	1000 ლარი ერთჯერადად	11 000	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	გ) მეორე მსოფლიო ომის მონაწილე	250 ლარი ერთჯერადად	1 250	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	დ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი	300 ლარი ერთჯერადად	1 200	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	ე) ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფით, სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი და ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს	63.16 ლარამდე ყოველთვიურად (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	18 000	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	ვ) 100 და 100 წელზე ზევით ხანდაზმული მოქალაქე	300 ლარი ერთჯერადად	300	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	ზ) ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახი (2018 წლის ვალდებულების გათვალისწინებით)	300 ლარი ერთჯერადად	58 000	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	თ) ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქე	100 ლარი ყოველთვიურად	14 500	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

	ი) მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი და მეტი შვილი (მათ შორის გერი შვილ(ებ)ი) და ოთხი მაინც არის არასრულწლოვანი	თითოეულ ბავშვზე 50 ლარი ერთჯერადად	14 600	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	კ) სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება (2018 წლის ვალდებულების გათვალისწინებით)	500 ლარამდე	109 150	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	ლ) სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გათბობის ხარჯით უზრუნველყოფა	100 ლარი ერთჯერადად	80 000	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	მ) აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე არასრულწლოვან ბავშვთა ოჯახი	500 ლარი ერთჯერადად	7 000	2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
	სულ		**664 300**	